

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე
სს RMG Copper-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის
ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავის მოწყობის)
პროექტის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

1 მარტი, 2022

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2022 წლის 8 თებერვალს [გამოქვეყნებულ](#) სს RMG Copper-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავის მოწყობა) პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით.

დაგეგმილი საქმიანობა

განსახილველად წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, RMG Copper-ს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნოლოგიურ პროცესში (ფლოტაციისას) წარმოქმნილი კუდების (3.05 მლნ ტ/წ) შენახვის მიზნით, დაგეგმილი აქვს ახალი კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ახალ კუდსაცავზე განთავსდება გამამდიდრებელი ფაბრიკიდან გამოსული კუდების სრული მოცულობა, შესაბამისად, ახალი კუდსაცავის მოწყობის და ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ, RMG Copper გეგმავს არსებული კუდსაცავის დახურვას.

როგორც ანგარიშის შესავალ ნაწილშია ნახსენები, ახალი კუდსაცავის მშენებლობა და ოპერირება დაგეგმილია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფზე“ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული მოპოვების ლიცენზიით (N10002084) გათვალისწინებული ტერიტორიის ფარგლებში.

საპროექტო კუდსაცავის ფუნქციონირება საჭიროებს სხვადასხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას, მათ შორისაა, შემსქელებელი დანადგარები, დამწვევი-სატუმბი სადგური, 7.8 კმ სიგრძის მილსადენი, კუდების ავარიული შემკრები ავზი, სატუმბი სადგური, შებრუნებული წყლის მილსადენი, გამწმენდი ნაგებობა და ა.შ.

დაგეგმილი კუდსაცავის წყალშემკრები აუზის საერთო ფართობი 874 ჰექტარს შეადგენს, ხოლო უშუალოდ კუდსაცავის ტერიტორიის ფართობი 80 ჰექტარია. პულპის დალექვის შედეგად, კუდსაცავის ტერიტორია ფორმირდება ორ ზონად: პლიაჟად და სალექარ აუზად.

სკოპინგის ანგარიშის ზოგადი შინაარსი და სტრუქტურა

სკოპინგის ანგარიშის მე-4 თავი, ანგარიშის საკმაოდ დიდი ნაწილი, 128 გვერდიდან 46 გვერდი (35%) ეთმობა გამამდიდრებელი საწარმოს მიმდინარე საქმიანობის აღწერას. ანგარიშის ამ ნაწილში სრულადაა აღწერილი მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი, დაწყებული მადნის მოპოვებითა და

ტრანსპორტირებით, დასრულებული ფლოტაციის ციკლითა და ჩამდინარე წყლების მართვით.

მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებთან ერთად, ამავე თავში აღწერილია RMG Copper-ის მიერ, წარმოების პროცესში სამომავლოდ დაგეგმილი ცვლილებები, როგორცაა, მაგალითად: მკავე წყლის ნეიტრალიზაციის უბნის მოწყობა, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიურ სქემაში შესატანი ცვლილებები და ა.შ. რაც შეეხება უშუალოდ დაგეგმილი საქმიანობის შესაძლო შემოქმედებას გარემოზე, აღნიშნულ საკითხს სკოპინგის ანგარიშში მხოლოდ და მხოლოდ 30 გვერდი, ანუ ანგარიშის დაახლოებით 20% ეთმობა. ხაზგასასმელია, რომ ანგარიშში გარემოზე შესაძლო შემოქმედების შესახებ ინფორმაცია მეტად ზოგადი, ზედაპირული სახითაა გადმოცემული და ვერ ვხვდებით სკოპინგის ეტაპზე ჩატარებული წინასწარი ფონური კვლევების კონკრეტულ შედეგებს. მაგალითისთვის, ანგარიშში ნათქვამია, რომ კუდსაცავის პროექტის განხორციელების მიზნით, გარემოდან იქნება ამოღებული ხე-ტყის მერქნული რესურსი 80 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე; ტერიტორია მაღალი კონსერვაციული ღირებულების ჰაბიტატს წარმოადგენს, გარემოდან ამოსადები საკვანძო სახეობა კი, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა - მუნაა. მიუხედავად გარემოზე ამგვარი ძლიერი პოტენციური შემოქმედების არსებობისა, არ არის შეფასებული დაახლოებით რა ოდენობის მერქნული რესურსის ამოღებაზე საუბარი და რა რაოდენობის იქნება დანაკარგი.

გარდა ამისა, 2022 წლის 25 თებერვალს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ გეტაში ჩატარებული საჯარო განხილვისას, გაირკვა, რომ კუდსაცავის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მოიცავს სოფლის საძოვრებს. აღნიშნულის შესახებ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს; თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით სკოპინგის ანგარიშში არანაირი ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი.

საგულისხმოა ისიც, რომ სკოპინგის ანგარიშში არაერთ ადგილასაა ნახსენები როგორც ჩატარებული საველე, ისე ლიტერატურული კვლევები. ბიოლოგიურ გარემოზე შემოქმედების დახასიათების ქვეთავში (5.7) ნათქვამია: „საპროექტო ტერიტორიაზე საველე კვლევების დროს რეგისტრირებული, ისევე როგორც ლიტერატურული კვლევებით პროექტის შემოქმედების არეალში გავრცელებულ ჰაბიტატებთან ასოცირებული მცენარეთა სახეობების საკონსერვაციო სტატუსი შეესაბამება IUCN-ის კატეგორიას „მოწყვლადი“...“; „ცხოველების შემთხვევაშიც, საველე კვლევების დროს პროექტის შემოქმედების არეალში რეგისტრირებული ცხოველთა სახეობების ყველაზე მაღალი საკონსერვაციო სტატუსი კვლავ შეესაბამება IUCN-ის კატეგორიას „მოწყვლადი“, რაც არ აღძრავს IFC PS6-ით განსაზღვრულ კრიტიკულობის რომელიმე რგოლს“.

ანგარიშში აღნიშნულ კვლევებზე აპელირების მიუხედავად, არსადაა ნახსენები თუ რომელ კვლევებზეა საუბარი, როდის ან რა მეთოდოლოგიით ჩატარდა ისინი, არაა წარმოდგენილი არც კვლევის შედეგები.

კუმულაციური შემოქმედება

სკოპინგის ანგარიშის კუმულაციური შემოქმედების ქვეთავში (5.16) აღნიშნულია, რომ „პროექტით გათვალისწინებულ პერიოდში მოწყობითი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიების მიმდებარედ (500 მეტრიან რადიუსში) არ არის დაგეგმილი იგივე სახის სამუშაოების ჩატარება“. აქვე, ნათქვამია, რომ არსებული და საპროექტო კუდსაცავების შორის მნიშვნელოვანი მანძილით დაცილების მიუხედავად, შემოქმედების რეცეპტორების და არეალის გავრცელების კუთხით აღნიშნული კუდსაცავების ერთდროული ფუნქციონირება მაინც გამოიწვევს კუმულაციურ შემოქმედებას. თუმცა, აღნიშნული ვარაუდი იმითაა გაქარწყლებული, რომ ახალი კუდსაცავის მოწყობის და ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ, RMG Copper-ის არსებული კუდსაცავი შეწყვეტს ფუნქციონირებას და დაექვემდებარება კონსერვაციას.

საგულისხმოა, რომ კუმულაციური შემოქმედების შეფასებისას, შემოადნიშნული კრიტერიუმების გამოყენება გაუმართლებელია. კუმულაციური შემოქმედება შესაძლოა არსებობდეს არამხოლოდ პროექტის განხორციელების (მშენებლობის) პერიოდში და საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში, არამედ

უფრო შორ მანძილზე და ექსპლუატაციის პროცესშიც. ამასთან, კუმულაციურ ზემოქმედებას ქმნის არამარტო ერთი და იმავე სახის, არამედ ერთ პერიოდში მიმდინარე სხვადასხვა საქის საქმიანობა, იქნება ეს წიაღის მოპოვება, გადამუშავება თუ წარმოების შედეგად წარმოქმნილი კულების განთავსება.

ამგვარად, ახალი კულსაცავის მოწყობის პროექტის კუმულაციურ ზეგავლენაზე საუბრისას, RMG Copper უნდა განიხილავდეს არა მხოლოდ იმავე სახის სამუშაოს, ე.ი. სხვა კულსაცავის მოწყობას, არამედ დაგეგმილი კულსაცავის ტერიტორიის მახლობლად მიმდინარე ყველა სახის საქმიანობას, მათ შორის, მადნეულის გამამდიდრებელი ფაბრიკის ფუნქციონირებას, ნედლეულის მოპოვებასა და ამჟამინდელი კულსაცავის არსებობას. ამავე დროს, კუმულაციური ზემოქმედების არეალი არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ 500 მეტრიანი რადიუსით, რადგანაც გარემოზე თუ მოსახლეობაზე უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა ერთმანეთისგან ბევრად უფრო დიდი მანძილით დაშორებულმა საქმიანობებმაც გამოიწვიოს.

ამასთან, ამჟამინდელი და საპროექტო კულსაცავის კუმულაციურ ზემოქმედებაზე საუბრისას, ფაქტი, რომ ახალი კულსაცავის გახსნის შემდგომ ძველი კულსაცავი დაიხურება, არ ნიშნავს, რომ კუმულაციური ზემოქმედება არ იარსებებს. ცნობილია, რომ დახურვისა და რეკულტივაციის შემდეგაც კი, კულსაცავის ტერიტორიას ახასიათებს ტენდენცია, ათწლეულების განმავლობაში და შესაძლოა სამუდამოდაც, დაკარგოს ყოველგვარი ღირებულება - ვეღარ იყოს გამოყენებული ვერც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ვეღარც საძოვრად და ვეღარ გახდეს ვერც ადგილობრივი ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატი. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ამჟამინდელი კულსაცავი დაიხურება, არ გააქრობს მისი არსებობით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებს გარემოზე; ამგვარად, პოტენციურ კუმულაციურ ზემოქმედებაზე საუბრისას, აუცილებელია, ერთიანობაში იყოს შეფასებული ერთმანეთის სიახლოვეს ორი კულსაცავის არსებობით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე.

ტყის სტატუსის შეწყვეტა

სკოპინგის ანგარიშის (ქვეთავი 5.6) მიხედვით, პროექტის ზემოქმედების არეალში გარემოდან იქნება ამოღებული ხე-ტყის მერქნული რესურსები, ჯამურად 80 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე (კულსაცავის მთელ ტერიტორიაზე). გარემოდან ამოსაღებ საკვანძო მერქნიან სახეობას მუხა და რცხილა წარმოადგენს. მუხნარ-რცხილნარი სწორედ ის ჰაბიტატი, რომელზეც პროექტის ზემოქმედების არეალში გავრცელებულ ჰაბიტატებს შორის ყველაზე ძლიერი ზემოქმედებაა მოსალოდნელი. აღნიშნული ჰაბიტატი EUNIS-ის ჰაბიტატთა კლასიფიკაციის და ევროსაბჭოს „ჰაბიტატების“ ღირეტივის მიხედვით, იდენტიფიცირებულია, როგორც მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე ჰაბიტატი. მუხა კი, საქართველოს წითელი ნუსხითაა დაცული და მოწყვლად სახეობას წარმოადგენს.

კულსაცავის მოსაწყობად განკუთვნილი მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტერიტორიის უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას წარმოადგენს. ამ ტერიტორიაზე წიაღის შესწავლა-მოპოვების მიზნით, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფზე“ გაცემულია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება, მერქნული რესურსის ჭრის უფლებით. თუმცა, ტყის კოდექსის მიხედვით (მუხლი 68, პუნქტი 1), განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის მიზნებს შორის არ შედის კულსაცავის მშენებლობა.

სკოპინგის ანგარიშში, RMG Copper აცხადებს, რომ ის „კავკასიის სამთო ჯგუფთან“ ერთად, სკოპინგის დასკვნის მიღების შემდგომ იშუამდგომლებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მოითხოვს საპროექტო კულსაცავის ტერიტორიისთვის ტყის სტატუსის შეჩერებას.

საგულისხმოა, რომ „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N496 დადგენილების მიხედვით, „ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინტერესთა ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე. თუ ტყის სტატუსის შეწყვეტის ინტერესი

ადმატება ტყის შენარჩუნების ინტერესს, საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის მართვის ორგანოს/კერძო მესაკუთრის სასარგებლოდ საკომპენსაციო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“. დადგენილებაში ასევე წერია, რომ ტყის სტატუსის შეწყვეტის უპირატეს ინტერესებს შორის მოიაზრება: 1. საქართველოს სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესები; 2. განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განხორციელება. საგულისხმოა, რომ კუდსაცავის პროექტი ტყის კოდექსით დადგენილი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების ჩამონათვალში არ შედის (ტყის კოდექსი, მუხლი 68), შესაბამისად, მსგავსი პროექტი არ შედის ტყის სტატუსის შეწყვეტის პრიორიტეტულ საფუძველში.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ RMG Copper-ის საპროექტო კუდსაცავის ტერიტორიას სახელმწიფო ტყის სტატუსი მოეხსნას, აუცილებელია, დამტკიცდეს პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა. ამისათვის, უნდა მოხდეს ინტერესთა ურთიერთგაწონასწორება და ტყის სტატუსის შეწყვეტაზე დადებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცეს, თუ ტყის სტატუსის შეჩერებისა და ამ ტერიტორიაზე ტყის საფარის განადგურების შედეგად მიღებული სარგებელი გადაწონის დანაკარგს. ეს კი, შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარების საფუძველზე.

ამასთან, ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული წარმოება იწყება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს) შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც მოიცავს სამინისტროს დასკვნას ტყის სტატუსის მიზანშეწონილობასთან და შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით (ტყის კოდექსი, მუხლი 13).

მიგვაჩნია, რომ კუდსაცავის პროექტზე დადებითი სკოპინგის დასკვნის გაცემა ტყის ფონდის ტერიტორიაზე ეწინააღმდეგება კანონს.

კლიმატურ პირობებზე ზეგავლენა

კლიმატურ პირობებზე ზემოქმედებასთან მიმართებით, 5.13 პარაგრაფში ნათქვამია, რომ „ჩატარებული კვლევა იძლევა საფუძველს მაღალი სიზუსტის პროგნოზის გაკეთებისთვის იმის შესახებ, რომ საპროექტო ობიექტის წყალშემკრები აუზიდან აორთქლებული წყლის მასა მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს პროექტის საზღვრებით დადგენილი კუდსაცავის დერეფნის მიღმა არსებულ ტერიტორიებზე“. ამავ ექვეთავში ასევე ნათქვამია, რომ კალკულაციის შედეგების და ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი ქარის რეჟიმის მახასიათებლების შეჯერების საფუძველზე, ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის ქარების დომინირების გამო, არსებობს რისკი იმისა, რომ წყლის ორთქლის მიგრაცია დაბა კაზრეთის მიმართულებით მოხდეს. თუმცა, აქვე დამატებულია, რომ რადგანაც საპროექტო ტერიტორია ხეობის ჩაღრმავებულ ლანდშაფტშია მოქცეული და გარს ტყე აკრავს, წყლის კონდენსატის შორ მანძილზე გადაადგილება მოსალოდნელი არაა.

ზემოაღნიშნული დასკვნის მიუხედავად, არსადაა წარმოდგენილი ინფორმაცია მიკროკლიმატზე ზეგავლენის შესაფასებლად განხორციელებული კვლევისა და ჩატარებული გამოთვლების შესახებ. ამის ნაცვლად, ქვეთავში ვხვდებით ზოგად ვარაუდებს, რომლებიც კონკრეტულ მონაცემებს არ ემყარება. მაგალითისთვის, გაურკვეველია, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ საპროექტო ტერიტორიის ლანდშაფტის გათვალისწინებით, წყლის ორთქლის შორ მანძილზე გადაადგილება მოსალოდნელი არაა, რა იგულისხმება შორ და ახლო მანძილში ან როგორ ფასდება მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ზეგავლენა.

საგულისხმოა, რომ ადგილობრივ კლიმატზე ზეგავლენის განხილვისას, არ არის წარმოდგენილი არცერთი რიცხობრივი მონაცემი. აორთქლების დინამიკაზე საუბრისას, მოყვანილია მხოლოდ პროცენტული მაჩვენებლები, კერძოდ: მარილებით ნაჯერი წყლის აორთქლების ზღვრული წლიური მასა შეადგენს 40%-ს,

მაშინ, როდესაც აუზიდან მტკნარი წყლის ანალოგიურმა პროპორციამ შესაძლოა 70%-ს გადააჭარბოს. ამგვარად, მარილებით გაჯერებულ წყალს მნიშვნელოვნად მცირე აორთქლების კოეფიციენტი აქვს, ვიდრე მტკნარ წყალს. თუმცა, პროცენტულ მაჩვენებლებთან ერთად, არ არის წარმოდგენილი კონკრეტული სიდიდეები - რა რაოდენობის წყალი იქნება მოთავსებული აუზში და აქედან რა რაოდენობის წყლის აორთქლება იქნება მოსალოდნელი. შესაბამისად, შეუძლებელია იმაზე საუბარი, იქნება თუ არა აორთქლებული წყლის რაოდენობა საგულისხმო და ადგილობრივ კლიმატსა და გარემოზე მნიშვნელოვანი პოტენციური ზეგავლენის მქონე. მიუხედავად ამისა, სწორედ ზემოაღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებლებზე დაყრდნობითაა გაკეთებული „მაღალი სიზუსტის“ პროგნოზი, რომ საპროექტო ობიექტის წყალშემკრები აუზიდან აორთქლებული წყლის მასა მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს კუდსაცავის დერეფნის მიღმა არსებულ გარემოზე.

გარდა ამისა, 5.7 ქვეთავში, რომელშიც განხილულია ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, ნათქვამია, რომ წყალშემკრები აუზის ზედაპირის ფართობის სიმცირის გამო, აორთქლების ხარისხი მცირე იქნება და მხოლოდ კუდსაცავის განთავსების ხეობაში მოახდენს ლოკალურ კლიმატზე გავლენას. ამის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა, რომ აორთქლების ფაქტორი ფლორისტულ და ფაუნისტურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მაღალი საფრთხის შემცველად არ განიხილება.

საგულისხმოა, რომ კუდსაცავის მთლიანი წყალშემკრები აუზის ფართობი 874 ჰექტარი, ხოლო უშუალოდ კუდსაცავის ფართობი - 80 ჰექტარია; ეს კი, საკმაოდ ვრცელი ტერიტორიაა იმისთვის, რომ აუზის ზედაპირის ფართობი მცირედ, ხოლო ლოკალურ კლიმატზე მოსალოდნელი ზემოქმედება უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ ყოველგვარი კვლევის გარეშე.